მატჩი კიშინიოვში

გუშინ, თბილისის "დინამომ" მეორე წრის პირველი შეხვედრა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე გამართა კიშინიოვში ადგილობრივი "მოლდოვას" წინააღმდეგ. ორი დამარცხების შემდეგ დინამოელები ამ მატჩში მოედანზე გამოვიდნენ გამარჯვების დიდი სურვილით, რაც შეხვედრის პირველი წუთებიდანვე აშკარა გახდა. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში მოედანზე იგრძნობოდა თბილისელთა როგორც ტერიტორიული, ისე ტექნიკური უპირატესობა.

თბილისელთა რიგებში ხურცილავას დაბრუნებამ მეტი დარწმუნებულობა შეიტანა დაცვის ხაზებში და თავდასხმას თავისუფალი მოქმედების გზა გაუხსნა. საგოლე მომენტებს ხშირად ქმნიდნენ მესხი, ბარქაია, კალოევი, მაგრამ მასპინძელთა დაცვა ყველაფერს აკეთებდა საკუთარი კარის უვნებელყოფისათვის, რაც ზოგჯერ უხეშობაში გადადიოდა. 39-ე წუთზე თბილისელთა ერთ-ერთი შეტევის დროს მასპინძლები დაჯარიმდნენ. მესხის დარტყმა იმდენად ძლიერი და მოულოდნელი იყო, რომ "მოლდოვას" მეკარემ ბურთს მხოლოდ ბადეში მიუსწრო – 1:0.

კიდევ უფრო აქტიურად თამაშობდნენ დინამოელები შესვენების შემდეგ. თამაში ცალ გოლს უფრო წააგავდა, ვიდრე "ა" კლასის ორი გუნდის თამაშს, მაგრამ ახლა თბილისელი თავდამსხმელები ზედმეტად ნერვიულობდნენ, აგვიანებდნენ გადამწყვეტ დარტყმებს ან არაზუსტად ასრულებდნენ მას.

უკანასკნელ წუთებში დინამოელები შეურიგდნენ მინიმალურ ანგარიშს, ტემპი შეანელეს, რითაც ისარგებლეს კიშინიოველებმა და გააქტიურდნენ, ხოლო ფინალურ სასტვენამდე სამი წუთით ადრე პირისპირ დარჩენილი გარშკოვის უძლიერესი დარტყმა კოტრიკაძემ მოიგერია. გაიმარჯვა თბილისის "დინამომ" – 1:0.

თბილისელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, პეტრიაშვილი, დათუნაშვილი, ხელაძე, კალოევი, ბარქაია, მესხი.

ამავე გუნდების სათადარიგო შეხვედრაში გაიმარჯვეს თბილისელებმა – 2:0.

"ლელო", 30 ოქტომბერი, 1962 წ.